

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება. კანონპროექტი ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საგადასახადო დავალიანებების საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით ამოღების პროცესის ეფექტურობის გაზრდას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავება მიზნად ისახავს საგადასახადო კოდექსის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტთან შესაბამისობაში მოყვანას და ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საგადასახადო დავალიანებების საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით ამოღების პროცესის ეფექტურობის გაზრდას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილებათა აღსრულების შემდგომ სრულყოფას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდგომში მდგომარეობს: კანონპროექტის მიხედვით, 2010 წლის 1 იანვრიდან. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე საგადასახადო დავალიანებების მქონე მოვალის (გადასახადის გამხდელის) საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციას განახორციელებენ აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები – სააღსრულებო ბიუროები

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და აღსრულების ეროვნული ბიურო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.